ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 214

"14" აგვისტო 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 აგვისტოს №20.849.1071 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" (ს/ნ: 405338763) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 780 (სამი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**